N კორპ.24.08/01

24 აგვისტო, 2016 წელი

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

(უპირობო საბანკო გარანტია)

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის

სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება- საავტომობილო გზების დეპარტამენტს

(მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1"–მა (მისამართი: საქართველო, გორი, შინდისის გზატკეცილი, 2 კმ.; ს/კ: 217890584) (შემდგომში – „მიმწოდებელი") N15 ზონაში შემავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა–შენახვის) სამუშაოების შესყიდვის - შემდგომში სამუშაო (CVP45233142) შესაბამისად, იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოაღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე: 6,360 (ექვსი ათას სამოცი) ლარი და უპირობოდ ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე (არაუგვიანეს 10 საბანკო დღისა), თქვენს მოთხოვნაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის თაობაზე მითითების საფუძველზე, თქვენი მხრიდან მოთხოვნის ან მოთხოვნილი თანხის დასაბუთების საჭიროების გარეშე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

დავით ცაავა _____

გენერალური დირექტორი

ლევან გიორგაძე _____

კორპორატიული ბანკირი